



საქართველოს ს.ს.რ.



საგზ. რეპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

ანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისარათა საგზოს და ეკონომიური საგზოს
საქმეთა მმართველობის გამოსცემა

935 წ. სექტემბრის 29.

№ 23

ტფილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება.

ფინანსები.

ქალაქ ტფილისის ახალი მიჯნის დაწესებასა და მისი რეკონსტრუქციის პროექტის შესახებ.

133. 1935 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებაზე დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

გურჯაანის რაიონში 4 ახალი სასოფლო დაარსების შესახებ.

134. 1935 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგრის შესახებ.

შტატების დამტკიცების წესისა და დალი შტატების დაცვისათვის კონტროლის შესახებ.

სისხლის სამართალი.

ვაჭრობა. მომარაგება.

135. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 70^ე მუხლის დამატებისა და 205^ე მუხლის ამოშლის შესახებ.

ქალაქებისა და სოფლების ბაზრებზე და სხვა ადგილების სადგურებზე და ნავთსადგურებზე წლის მოსავლის კარტოფილის საკომერციული და ინდივიდუალური საგლეხო ვაჭრობის აღდგენის შესახებ.

სახამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

ტრანსპორტი.

136. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

სამოქალაქო საჭაერო ფლოტისათვის ხელის აღმოსაჩინებათა შესახებ.

137. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციასა და ფუნქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ.



P/d. 30/xii-60. ჯგ. ყპპ. 012.4

სახელმწიფო წყობილება

128. დადგენილება ც.ა.კ.

ქალაქ ტფილისის ახალი მიწების დაწესების შესახებ მისი რეკონსტრუქციის პროექტის შესაბამისად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 27-ის დადგენილებისა „სსრ კავშირის ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროექტების შედგენისა და დამტკიცების შესახებ“ და სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომუნალური მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რესტრუქციისა“ სსრ კავშირის ც.ა.კ.-ის და ს.კ.ს.-ის 1933 წ. 27 ივნისის დადგენილების შეფარდების შესახებ“ და ქალაქ ტფილისის რეკონსტრუქციის გეგმის შესაბამისად, დაწესებულ იქნას ტფილისის ახალი ტერიტორია, ქალაქის არსებული ტერიტორიისათვის, რომელიც დაახლოვებით 4000 ჰექტარ ფართობს შეიცავს, შემდეგი ახალი ტერიტორიის მიმატებით: ზემო და ქვემო-ავჭალა, ღრმა-ღელე, გლდანის პლატო, დიღმის ველი, საბურთალო, ზემო ნავთლუდი და სხვა, და მიღებულ იქნას ქალაქ ტფილისის ტერიტორია საერთო ფართობით 14.175 ჰექტარამდე შემდეგ საზღვრებში:

მტკვრის მარცხენა ნაპირი.

1) ზაჰესის ტერიტორია, ფართობით დაახლოვებით 300 ჰექტარი, საზღვრებში: ჩრდილოეთით—წრფე ხაზი, გატარებული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მტკვრისა და არაგვის შესართავზე უახლოესი მთების ფერდობის 500 ჰორიზონტალამდე; დასავლეთით, სამხრეთ დასავლეთით და სამხრეთით—მტკვრის ნაპირი, აღმოსავლეთით—ზემო-ავჭალის ტერ.ტორია და მთების ფერდობი 500 ჰორიზონტალამდე.

2) სოფელი ზემო-ავჭალა თავისი მიდამოებით, ფართობით დაახლოვებით 150 ჰექტ., საზღვრებში: ჩრდილო დასავლეთით—ზაჰესის ტერიტორიის აღმოსავლეთის საზღვარი, სამხრეთ-დასავლეთით—მტკვრის მარცხენა ნაპირი, სამხრეთით—ქვემო-ავჭალის ჩრდილოეთის საზღვარი, ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით—მთების ფერდობი 500 ჰორიზონტალამდე.

3) სოფელი ქვემო-ავჭალა თავისი მიდამოებით, ფართობით დაახლოვებით 100 ჰექტარი, საზღვრებში: ჩრდილოეთით—ზემო-ავჭალის სამხრეთის საზღვარი, დასავლეთით—მტკვრის მარცხენა ნაპირი, სამხრეთით—ღრმა ღელის ჩრდილოეთის საზღვარი (მდ. რიყე) აღმოსავლეთით—მთების ფერდობი 500 ჰორიზონტალამდე.

4) ღრმა-ღელის ქვედა და ზედა პლატო, ფართობით დაახლოვებით 350

ქტარი, საზღვრებში: ჩრდილოეთით—ქვემო-ავჭალის სამხრეთის საზღვარი (მდ. აყე), დასავლეთით—მტკვრის მარცხენა ნაპირი, სამხრეთით—ღრმა-ღელის ხევი, მოსავლეთით—მთების დასავლეთის ფერდობები 500 ჰორიზონტალამდე და უდანის პლატოს დასავლეთის საზღვარი.

5) გლდანის პლატო, საერთო ფართობით დაახლოებით 375 ჰექტარი, ხლვრებში: ჩრდილოეთით—წრფე ხაზი, გატარებული დასავლეთიდან აღმოსავლეთით იმ მაღლობზე, რომელიც იმყოფება გლდანის საყდრის სამხრეთ-დასავლეთით 500 მეტრის მანძილზე დიდი-ტბის ჩრდილოეთის საზღვრებზე; ჩრდილო-დასავლეთით—მდ. რიყის მარცხენა ნაპირი, დასავლეთით—ღრმა-ღელის უსავლეთის საზღვარი, სამხრეთ-აღმოსავლეთით—ხევიმარის ხევი.

6) კუკიის მლაშე ტბებისა და მათი მიდამოების ტერიტორია, საერთო ფართობით დაახლოებით 2000 ჰექტარი, საზღვრებში: ჩრდილოეთით—კენისისა მწაროს მთების წყალგასაყარი; სამხრეთ-დასავლეთით—ქალაქის ეხლანდელი რიტორია; სამხრეთით—ნავთლულის მთების ფერდობები 556 ჰორიზონტალით, ხრეთ-აღმოსავლეთით—იმ მთების ძირი, რომლებიც მლაშე ტბებისაკენ ეშ-პიან (კვირიკობა) 586 ჰორიზონტალით; აღმოსავლეთით—ფორაქანთ-ხევი და დილო-აღმოსავლეთით—კვრიკობის გორის წყალგასაყარი ფორაანთ-ხევისა კენისხევის შუა.

7) ქალაქის არსებული რაიონები (მტკვრის მარცხენა ნაპირი) ლენინის, კალინის და 26 კომუნარის სახელობისა, საერთო ფართობით დაახლოებით 400 ჰექტარი, საზღვრებში: ჩრდილოეთით—ღრმა-ღელის ხევი, დასავლეთით და მხრეთით—მტკვრის მარცხენა ნაპირი, აღმოსავლეთით—მე-2 ნავთლულის ხევი, აღილო-აღმოსავლეთით—მახათის მთის სამხრეთ-დასავლეთის ფერდობები ხუ-ადოვის ტყიანად.

8) ნავთლულის რაიონი, საერთო ფართობით 2.300 ჰექტარამდე, საზღვრებში: ჩრდილოეთით—ნავთლულის მთების სამხრეთის ფერდობი (ავლაბარი) 556 ჰორიზონტალით, დასავლეთით—მე-2 ნავთლულის ხევი, სამხრეთით—მტკვრის მარცხენა ნაპირი, აღმოსავლეთით—ორხევი და ფორაქანთ-ხევი.

სულ მტკვრის მარცხენა ნაპირზე ზემოაღნიშნულ საზღვრებში დაახლოებით არის 6975 ჰექტარი.

მტკვრის მარჯვენა ნაპირი.

9) დიღმის ველი, საერთო ფართობით დაახლოებით 2.000 ჰექტარი, შე-პდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით—მტკვრის მარჯვენა ნაპირი ზაჰესის პირდაპირ, დასავლეთით—წრფე ხაზი 678 ჰორიზონტალის სიმალიდან სამხრეთისაკენ სოფ. ზემო-დიღმის წყარომდე და მტკვრისა და დიღმის წყლის გადაკვეთამდე, სამხრეთით—მდ. დიღმის წყლის მარცხენა ნაპირი, აღმოსავლეთით—მტკვრის მარჯვენა ნაპირი.

10) ლისის ტბის მიდამოები, საერთო ფართობით 1500 ჰექტარამდე, სა-ზღვრებში: ჩრდილოეთით—მდ. დიღმის წყლის მარჯვენა ნაპირი, დასავლეთით—წრფე ხაზი სოფ. ზედა-დიღმის წყაროდან სამხრეთისაკენ 747 ჰორიზონტა-ლის სიმალიამდე (348,1 საფ. ნახევარვერსიანი რუკით), სამხრეთით—საბურთა-

ლოსკენ დაშვებული მთების სამხრეთის ფერდობები, აღმოსავლეთით—მტკვრის მარჯვენა ნაპირი.

11) საბურთალოს რაიონი, საერთო ფართობით დაახლოებით 1000 ჰექტარი საზღვრებში: ჩრდილოეთით—მთების სამხრეთის ფერდობები 535 ჰორიზონტალამდე, დასავლეთით—მთების აღმოსავლეთის ფერდობები 550 ჰორიზონტალამდე, სამხრეთით—მდ. ვერის მარცხენა ნაპირი, აღმოსავლეთით— მტკვრის მარჯვენა ნაპირი.

12) ვაკის რაიონი (არსებული ქალაქის ნაწილი), საერთო ფართობით დაახლოებით 400 ჰექტარი, საზღვრებში: ჩრდილოეთით—მდ. ვერის მარჯვენა ნაპირი, დასავლეთით—ხევი სოფ. ბაგებსა და ვაკეს შუა, სამხრეთით—დავით აღმაშენებლის გზის ტერიტორიითურთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით—ვარაზის-ხევი.

13) არსებული ქალაქი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე: ორჯონიკიძის სახელობის რაიონი (ვაკის გამოკლებით) და კიროვის სახელობის რაიონი, საერთო ფართობით დაახლოებით 1200 ჰექტარი, საზღვრებში: ჩრდილოეთით—მდ. ვერის ჩრდილოეთ-დასავლეთით—ვარაზის-ხევი, სამხრეთ-დასავლეთით—დავით აღმაშენებლის ფუნქულორის პლატოთურთ, თელეთის ქედი სეიდაბადის ქედითურთ და ბიჭვინთის ტანიკურის ბალის ტერიტორია, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით—მტკვრის მარჯვენა ნაპირი.

14) ქალაქის არსებულ საზღვრებზე მიკრული სოფ. ოქროყანის ტერიტორია, ფართობით დაახლოებით 100 ჰექტარი.

15) სოღანლულის ველი, ფართობით დაახლოებით 1000 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ ტერიტორიის საზღვრამდე.

სულ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ზემოაღნიშნულ საზღვრებში არის 7.20 ჰექტარი.

2. ზემოშემოფარგლული ქალაქის ტერიტორიის საზღვრებში, რომლებიც ფართობით 14.175 ჰექტარს უდრის, მიწის ნაკვეთების გაცემა ქარხნების, ფაბრიკების ან სხვადასხვა საინჟინერო ნაგებობათა მშენებლობისათვის და საერთოდ ყოველგვარი კაპიტალური მშენებლობისათვის უნდა ხდებოდეს ტფილისის საქალაქო საბჭოს ნებართვით.

3. ქალაქის ძველი მიჯნის გარეშე მდებარე ის ტერიტორიები, რომლებიც ქალაქს უერთდება და ამჟამად სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის არის დაკავებული (სახნავ-სათესი, მინდვრები, სათიბები, ბოსტნები და სხვ.), იმყოფება ტფილისის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში და განკარგულებაში მათე საქესპლოატაციოდ გაცემის მხრივ, თვინიერ კაპიტალურ მშენებლების აგების უფლებიანა.

4. ქალაქის ძველი მიჯნის შიგნით მდებარე ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის არის დაკავებული (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ტერიტორიები), იმყოფება ტფილისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში, როგორც ექსპლოატაციისა, ისე გაშენების მხრივ.

6. სააღმშენებლო მასალების კარიერები, რომლებიც ან მტკვრის ნაპირზე ან სხვა ადგილზე იმყოფება ზემოშემოფარგული ქალაქის ტერიტორიის საზღვრებში, იმყოფება ტფილისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში და განკარგულებაში.

6. მისასვლელი გზები, რომლებიც ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე გადის, რჩება საქვზატრანსის გამგებლობაში.

7. კურორტები მანგლისი, კიკეთი, კოჯორი და წყნეთი იმყოფებიან ტფილისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში.

8. ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო საბჭოები ავქალისა და დიდმისა მათში შემაჯალი დასახლებული პუნქტებითურთ დროებით (მიმდინარე წლის ბოლომდე) დარჩეს ტფილისის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარებაში, სოფ. საბურთალოს გარდა, რომელიც შეუერთდეს ტფილისის საქალაქო საბჭოს.

9. წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს დაადგინოს ქალაქის ახალი მიჯნა ნატურად სათანადო გეოდეზიური ნიშნების დამყარებით.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 წ. ივნისის 14. № 63.

ტფილისი.

სახელმწიფო წყობილება

129. დადგენილება ც.ა.კ.

012.6

გურჯაანის რაიონში 4 ახალი სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მოხდეს შემდეგი ცვლილება გურჯაანის რაიონის სასოფლო საბჭოებში:

1. გამოეყოს ყანდაურის სასოფლო საბჭოს სოფელი შიშლიანი, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას.

2. გამოეყოს კალაურის სასოფლო საბჭოს სოფელი შრომა, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას;

3. გამოეყოს იორ-მულანლოს სასოფლო საბჭოს სოფლები ქეშალო და თულარი, და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქეშალოში;

4. ა) გამოეყოს ჯიმიტის სასოფლო საბჭოს სოფლები გადრეკილი და დარბა, და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გადრეკილში;

ბ) გადრეკილის სასოფლო საბჭოს ეწოდოს ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის სასოფლო საბჭო.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. უღენტი.

1935 წ. ივლისის 14. № 62.

ტფილისი.

130. დადგენილება ს.კ.ს.

შტატების დამტკიცების წესისა და დადგენილი შტატების დაცვისათვის კონტროლის გაწევის შესახებ.

„შტატების დამტკიცების წესისა და დადგენილი შტატების დაცვისათვის კონტროლის გაწევის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 13-ის დადგენილების მე-IV კარის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 26 №-ი, მუხ. 208) და ამ დადგენილების მე-II და III კართა შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან საშტატო კომისია, რომლის შედგენილობასაც ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ რესპუბლიკანურ საშტატო კომისიას:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მითითებათა საფუძველზე საქართველოს სსრ არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების (მათ შორის საკრედიტო დაწესებულებების) ცენტრალური სამმართველო აპარატის შტატების (საშტატო განრიგების) დამტკიცება;

ბ) სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული ცენტრალური საშტატო კომისიის მიერ დადგენილი საშტატო კონტინგენტების ფარგლებში—საქართველოს სსრ გაერთიანებული სახალხო კომისარიატების და სამმართველოების, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შტატებისა და აგრეთვე აღნიშნული უწყებების და ორგანიზაციების ადგილობრივი ორგანოების საშტატო კონტინგენტების დამტკიცება;

გ) მოსამსახურეთა საშტატო კონტინგენტების დამტკიცება არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური სამმართველოების სამეურნეო ორგანოთა, საწარმოთა და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ თვითეული უწყების რესპუბლიკანური ქვემდებარეობის ადგილობრივ ორგანოთათვის—მთლიანად, შემდეგი დაყოფით: ტრესტების სამმართველო აპარატის საშტატო კონტინგენტები მთლად სახალხო კომისარიატის ნაზით; საწარმოთა სამმართველო აპარატის საშტატო კონტინგენტები



მთლად სახალხო კომისარიატის ხაზით; სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებათა საშტატო კონტინგენტები მთლად სახალხო კომისარიატის ხაზით; სასწავლებლების საშტატო კონტინგენტები მთლად სახალხო კომისარიატის ხაზით; დამშხადებელ, გამსაღებელ და მომმარაგებელ ორგანიზაციათა საშტატო კონტინგენტები მთლად სახალხო კომისარიატის ხაზით და სხვა ორგანიზაციათა (საკრედიტო და სხვ.) სამმართველო აპარატის საშტატო კონტინგენტები;

დ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების აპარატთა შტატებისა და ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებით დასაფინანსებელ დაწესებულებათა საშტატო კონტინგენტების წინასწარი განხილვა და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთვის წარმოდგენა;

ე) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო და საქალაქო ბიუჯეტებით დასაფინანსებელი სხვა დაწესებულებების შტატების წინასწარი განხილვა და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთვის წარმოდგენა.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ საქართველოს სსრ თვითეული სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური დაწესებულებისათვის დამტკიცებული საშტატო კონტინგენტების ფარგლებში სახალხო კომისარი ან ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელი ამტკიცებს:

ა) რესპუბლიკანური ხელქვეითობის თვითეული ქვემდებარე ადგილობრივი ორგანოს, სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტისა, სასწავლებლისა, სამკურნალო დაწესებულების ან სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულების შტატს, და შტატს თვითეული ტრესტისა, შენაერთისა და სხვ. მისთ. სამმართველოსათვის და სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულების უშუალოდ ქვემდებარე საწარმოს სამმართველო აპარატისათვის;

ბ) ტრესტში, შენაერთში და სხვა მისთ. შემავალ საწარმოთა სამმართველო აპარატის საშტატო კონტინგენტებს—მთლიანად თვითეული ტრესტისა, შენაერთისა და სხვა მისთ. ხაზით.

თვითეული ტრესტისათვის, შენაერთისათვის და სხვა მისთ. დამტკიცებული საშტატო კონტინგენტების ფარგლებში მისი ხელმძღვანელი ამტკიცებს სამმართველო აპარატის შტატებს თვითეული მისი ქვემდებარე საწარმოსათვის.

4. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები ამტკიცებენ:

ა) ამა დადგენილების მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის წესისამებრ დამტკიცებული საშტატო კონტინგენტების ფარგლებში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებით დასაფინანსებელ დაწესებულებათა შტატებს და

ბ) სარაიონო და საქალაქო ბიუჯეტებით დასაფინანსებელ დაწესებულებათა შტატებს.

5. სასოფლო ბიუჯეტებით დასაფინანსებელ დაწესებულებათა შტატებს, ტიკებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს განახორციელონ კონტროლი, რათა ყველა დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია იკავდეს მისთვის კანონით დადგენილი წესით დამტკიცებულ: აპარატის სტრუქტურას, შტატებს, სათანამდებობო ჯამაგირებს და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვებს.

7. მოეწყოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შედგენილობაში საშტატო განყოფილება, რომელსაც დაეკისროს:

ა) მოამზადოს შტატებისა და სათანამდებობო ჯამაგირების მასალები რესპუბლიკანური საშტატო კომისიისათვის;

ბ) მოაწყოს და განახორციელოს, საფინანსო ორგანოებისა და საფინანსო-საბიუჯეტო ინსპექციის მეშვეობით, კონტროლი ყველა დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის მიერ მისთვის დამტკიცებული შტატებისა და მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სათანამდებობო ჯამაგირების დაცვისათვის;

გ) აღრიცხოს საშტატო კონტინგენტები, მოსამსახურეთა ჯამაგირები და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები მეურნეობისა, მმართველობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგში და აგრეთვე აწარმოოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური (მთავარი) სამმართველოების აპარატების რეგისტრაცია, თანახმად სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციისა „შტატებისა, მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის ფონდების და განაკვეთებისა და აგრეთვე საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების რეგისტრაციის წესის შესახებ“;

დ) შეიმუშაოს მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმების საკითხები.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—შემოიღოს საქალაქო და სარაიონო საფინანსო ორგანოებში ყველა დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის შტატებისა, მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის ფონდების და განაკვეთებისა და აგრეთვე საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების სავალდებულო რეგისტრაცია განსაკუთრებით დამტკიცებული სარეგისტრაციო კარტაკის-ფომით, რისთვისაც მოეწყოს სარეგისტრაციო ბიუროები: ტფილისის საქალაქო საბჭოსთან—2 საშტატო ერთეულის შედგენილობით, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან აფხაზეთის ასსრ-ში—1 საშტატო ერთეულით და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან აჭარის ასსრ-ში—1 საშტატო ერთეულით, აგრეთვე განწესებულ იქნას 12 საშტატო ინსპექტორი, მათი შემდეგნაირად განაწილებით: სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში და თელავის, სიღნაღის, გორის, ხაშურის, ახალციხის, ზესტაფონის, ჭიათურის, ქუთაისის, სამტრედიის, ზუგდიდის და მახარაძის რაიონებში—თითო-თითო ინსპექტორი.

9. სარაიონო, საქალაქო და სასოფლო ბიუჯეტებით დასაფინანსებელი და წესებულებათა შტატებისათვის საჭირო მასალის მომზადება დაეკისროს სარეგისტრაციო ბიუროებს და საშტატო ინსპექტორებს, ხოლო იმ ადგილებში, სადაც არც სარეგისტრაციო ბიუროა, არც საშტატო ინსპექტორი,—სარაიონო და საქალაქო საფინანსო განყოფილებათა გამგეებს.

10. დაევალოს მე-8 მუხლში აღნიშნული ყველა დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელს—დაარეგისტროს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით გათვალისწინებულ ვადაზე საქალაქო და სარაიონო საფინანსო ორგანოებში თავისი შტატები, მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის ფონდები და განაკვეთები და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები, აგრეთვე დაარეგისტროს ყველა, მათში მომხდარი ცვლილება.

დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ სამმართველოს და სამეურნეო ორგანოს, კოოპერატიულ ცენტრს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—თვალყური ადევნოს, რათა ყველა მისი ქვემდებარე ორგანიზაცია და საწარმო თავის დროზე არეგისტრებდეს თავის შტატებს ამა დადგენილების შესაბამისად.

11. განიშარტოს წინასწარ, რომ, სამეურნეო ორგანოს, საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელთან ერთად, პასუხისმგებლობა შტატების რეგისტრაციის დროს წარდგენილი ცნობების სისწორისათვის და აგრეთვე დამტკიცებული საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის დაცვისათვის ეკისრება აგრეთვე სამეურნეო ორგანოს, საწარმოს ან დაწესებულების მთავარ ბუხვალტერს.

12. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს—დახურონ ხოლმე კრედიტები იმ დაწესებულებათ და საწარმოთ, რომელნიც არ იცავენ მათთვის დადგენილ შტატებს, სათანამდებობო ჯამაგირებს და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვებს.

13. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის შესაბამისად, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

14. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. დეკემბრის 14-ის დადგენილება „შტატების დამტკიცების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 1) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. ივლისის 22. № 951.

ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

131. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

ქალაქებისა და სოფლების ბაზრებზე და რკინის გზების სადგურებზე და ნავთ-სადგურებზე 1935 წლის მოსავლის კარტოფილის საკოლმეურნეო და ინდივიდუალური საგლეხო ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. ივლისის 17-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. აიკრძალოს 1935 წ. ივლისის 20-დან კარტოფილის საკოლმეურნეო და ინდივიდუალური საგლეხო ვაჭრობა ქალაქებისა და სოფლების ბაზრებზე და რკინის გზის სადგურებზე და ნავთსადგურებზე.

2. დაწესებულ იქნას, რომ კარტოფილის საკოლმეურნეო და ინდივიდუალური საგლეხო ვაჭრობა ნებადართევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთლად საქართველოს სსრ-ში შესრულებულ იქნება სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების გეგმა და დაგროვილ იქნება სათესლე და სადაზღვეო ფონდები.

3. ნება დაერთვას კოლექტიურ მეურნეობებსა და კოლმეურნეებს, რომელნიც პირნათლად ასრულებენ მათთვის დადგენილ ვალდებულებებს სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისას, მიჰყიდონ მათ ხელთკონებული ზედმეტი კარტოფილი სახელმწიფო და კოოპერატიულ დამამზადებლებს საკონვენციო ფასად.

სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ვალდებულებათა პირნათლად შემსრულებლებად უნდა ჩაითვალნენ ის კოლექტიური მეურნეობანი და კოლმეურნენი, რომელთაც მთლად შეასრულეს მათთვის დადგენილი ვალდებულებანი კარტოფილის ჩაბარებისა მიმდინარე თვეს და რომელთაც არა აქვთ არავითარი დავალიანება წინა თვეში სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისა.

4. საკონვენციო ფასად (მუხ. 3) კარტოფილის გაყიდვის ნებართვის მიცემა კოლექტიური მეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის დაეკისროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამამზადებთა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულებს, ხოლო იმ რაიონებში, სადაც დამამზადებთა კომიტეტის რწმუნებულნი არ არიან, — სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებს, რომელნიც გამოყოფილ არიან დამამზადებთათვის; ამასთანავე, ეს ნებართვა გაცემულ უნდა იქნას მარტოდენ მაშინ, როდესაც კოლექტიური მეურნეობანი და კოლმეურნენი წარადგენენ მიმდინარე თვეში კარტოფილის ჩაბარების ქვითარს.

5. დაევალოს დამამზადებთა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულებს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებს (დამამზადებთათვის):

ა) განახორციელონ სისტემატური მეთვალყურეობა, რათა ის კოლექტიური მეურნეობანი და კოლმეურნენი, რომელთაც საკონვენციო ფასად კარტოფილის გაყიდვის ნებართვა მიიღეს, პირნათლად ასრულებდნენ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ვალდებულებათ;

ბ) დაამყარონ მტკიცე კონტროლი, რათა ამ კოლექტიურ მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა გაჰყიდონ მხოლოდ თავიანთი კარტოფილი და არ მიიღონ საკონვენციო ფასად გაყიდვისათვის კარტოფილი იმ კოლექტიური მეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან, რომელნიც არ ასრულებენ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ვალდებულებათ.

უკეთუ გამოირკვევა, რომ ის კოლექტიური მეურნეობანი და კოლმეურნენი, რომელთაც მიიღეს საკონვენციო ფასად კარტოფილის გაყიდვის ნებართვა, არ ასრულებენ შემდგომ თვეებში მათთვის დადგენილ ვალდებულებათ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისას, ან იღებენ საკონვენციო ფასად გაყიდვისათვის კარტოფილს სხვა კოლექტიური მეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან, რომელნიც არღვევენ თავიანთ ვალდებულებათ, დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებული ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (დამზადებათათვის) მოვალეა დაუყოვნებლივ გააუქმოს კოლექტიური მეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის მიცემული ნებართვა კარტოფილის საკონვენციო ფასად გაყიდვისა და არ განახლოს იგი მთლად 1935 წლის სადამზადებლო კამპანიის განმავლობაში.

6. დაწესებულ იქნას, რომ კოლექტიურ მეურნეობებს და კოლმეურნეებს შეუძლიათ მიჰყიდონ კარტოფილი საკონვენციო ფასად, როგორც ძირითად დამზადებლებს, რომელნიც იღებენ უწყებულ რაიონში კარტოფილს, ისე სხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომელთაც ნებადართული აქვთ აწარმოონ ამ რაიონში დეცენტრალიზებული დამზადებანი.

სახამებელ-საბადაგო ქარხნის ზონაში კოლექტიურ მეურნეობებსა და კოლმეურნეებს შეუძლიათ მიჰყიდონ კარტოფილი საკონვენციო ფასად მარტოოდენ ამ ქარხანას.

7. 1935 წლის მოსავლის კარტოფილზე დატოვებულ იქნას წარსულ წელს მოქმედი საკონვენციო ფასები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ზერია.

1935 წ. ივლისის 19. № 943/ა.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 176 №-ში 1935 წ. ივლისის 29.

ტ რ ა ნ ს კ ო რ ტ ი

132. დადგენილება ს.კ.ს.

514.0

სამოქალაქო საპაერო ფლოტისათვის ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნავს-რა სამოქალაქო საპაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის დიდ მუშაობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საპაერო ხაზების განვითარებისა და მშენებლობისათვის ხელშეწყობის საქმეში (სამოქალაქო საპაერო ფლოტის იდეებისა და ამოცანების პოპულარიზაცია, სახსართა შეგროვება, სათვითმფრინავი-სამოტორო პარკის შექმნა და სხვა მისთ.), აგრეთვე ამ კომიტეტის ქვედა რგოლულებების ორგანიზაციის სრულ მიზანშეწონილობას (სარაიონო კომიტეტების მოწყობა საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სამოქალაქო საპაერო ფლოტის მშენებლობისათვის გასაწევი იდეური და მატერიალური დახმარების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების მიზნით, ადგენს:

1. მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ ყველა რაიონში ერთი დეკადის ვადაზე სამოქალაქო საპაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და შემდეგი შედგენილობით: საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტისა, ალკ სარაიონო კომიტეტისა, პროფესიონალური ორგანიზაციებისა, სარაიონო საფინანსო განყოფილებისა, „თავდაცვა-ავიაქიმის“ სარაიონო ორგანიზაციისა, ადგილობრივი პრესისა და სამოქალაქო საპაერო ფლოტის ორგანოების (იმ რაიონებში, სადაც ასეთი ორგანოები არსებობენ) წარმომადგენელნი.

აღნიშნული სარაიონო კომიტეტები მოქმედობენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სამოქალაქო საპაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით და კონტროლით, მის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

2. დაევალოს აღნიშნულ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიებანი სამოქალაქო საპაერო ფლოტის ამოცანებისა და იდეების პოპულარიზაციისათვის საჭირო ნუშაობის გასაძლიერებლად, ამ სფეროში ყველა სარაიონო ორგანიზაციის საქმიანობის გასაერთიანებლად, სამოქალაქო საპაერო ფლოტის მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და აგრეთვე სამოქალაქო საპაერო ფლოტის საფინანსო ბაზის გაძლიერებისათვის სახსრის შესაკრებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

უ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

133. დადგენილება ს.კ.ს.

1935 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებაზე დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემულ თავის, 1935 წ. ივნისის 8-ის, დადგენილებასთან დაკავშირებით (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-19 №-ი, მუხ. 113) ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ გამოცემულ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივნისის 15-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 139; 25 №-ი, მუხ. 196; 31 №-ი, მუხ. 236; 33 №-ი, მუხ. 247) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

I.

ქვემოთ მოყვანილი მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება:

ა) კოლექტიური მეურნეობა (სასოფლო-სამეურნეო კოჰუნა, სასოფლო-სამეურნეო არტელი და მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა);

ბ) კოლმეურნეობის წევრის მეურნეობა;

გ) ერთპიროვნული საფლებო მეურნეობა“.

„3. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდებიან ზემოსვანეთის რაიონისა, დუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაკალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოებისა და თიანეთის რაიონის სოფელ ხაშალის და ბაჩალის კოლმეურნეობანი, კოლმეურნეები და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი“.

„11. მოწინავე კოლმეურნეობას, რონელიც განახორციელებს აგროტექნიკურ ღონისძიებებს და ამით ნამდვილად შეასრულებს უმნიშვნელოვანესი კულტურების მოსავლიანობის გადიდების გეგმას, ეძლევა შეღავათი, რომლის ძალითაც შეწერილი გადასახადი მას შეუმცირდება 15⁰/₁₀₀-მდე.

ეს თანხა გამოყოფილ იქნება სპეციალური ფონდის შესაქმნელად უწყებულ კოლმეურნეობაში იმ მიზნით, რომ ამ ფონდიდან მიეცეს პრემია საუკეთესო ბრიგადებს და ცალკეულ დამკვრელ-კოლმეურნეებს, რომელნიც უზრუნველყოფენ მოსავლიანობის გეგმის შესრულებას“.

„19. სრულიად განთავისუფლდება დაბეგრისაგან სასპირტო მრეწველობისათვის დაკონტრაქტებული ციკორის და ტოპინამბურის ნათესი“.

„29. იმ კოლმეურნეთა მეურნეობებს, რომელთაც აქვთ განუსაზღვრადობელი სასოფლო მეურნეობის შემოსავალი (ბოსტნისა, ბაღისა და სხვ.), სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გადახდებათ 10-დან 40 მანეთამდე თითო მეურნეობაზე.

დაწესებულ იქნას გადასახადის შემდეგი საშუალო განაკვეთები კოლმეურნის თითო მეურნეობისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში და რაიონში:

ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის და რაიონის სახელწოდება გადასახადის განაკვეთი ერთი მეურნეობისათვის.

- 1. აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის აო 22 მან.
- 2. ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, დუშეთის, თიანეთის, ტყიბულის, ფოთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ქიათურის და ხორავაულის რაიონები 17 მან.
- 3. აბაშის, ამბროლაურის, ბორჯომის-ვანის, ლანჩხუთის, მარტვილის, მახარაძის, ონის, ქუთაისის, წალენჯიხის და წალკის რაიონები 22 მან.
- 4. ალბულახ-მანგლისის, ბაღდადის, ბორჩალოს, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, კასპის, ლავოდების, ლუქსემბურგის, საგარეჯოს, სამტრედიის, სენაკის, სიღნაღის, ტფილისის, ყარაიას, ყვარლის, ხაშურის, ხობის და ხონის რაიონები 25 მან.

ამ განაკვეთების ფარგლებში:

ა) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ გადასახადის საშუალო განაკვეთებს ცალკეული რაიონებისათვის;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ გადასახადის განაკვეთებს ცალკეული სოფლებისათვის, ხოლო საჭირო შემთხვევაში ცალკეული კოლმეურნეობებისთვისაც; ამასთანავე კოლმეურნეობაში ცალკეული მეურნეობებისათვის სხვადასხვა განაკვეთის დაწესება არ შეიძლება“.

„30. იმ კოლმეურნეთა მეურნეობებს, რომელთაც განუსაზღვრადობელი სასოფლო მეურნეობის შემოსავალთან ერთად აქვთ არაკოოპერირებული საშინა-მრეწველო სახელოსნო სარეწაოების მუდმივი შემოსავალიც, გადასახადის განაკვეთი (მუხ. 29) გაუღიდელებათ 40—50%-ით, რაიონისა და რეწაობის სახის მიხედვით, თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებისა.

შენიშვნა. უკეთეს საშინამრეწველო-სახელოსნო რეწაობას შემოსავალიც უმნიშვნელოა, გადასახადის განაკვეთი არ გადიდდება“.

„31. იმ მეურნეობას, რომელსაც თავის შედგენილობაში ჰყავს არა უმეტეს ორი შრომაუნარიანი წევრისა, ეძლევა შემდეგი შეღავათი შრომის უნარმოკლებულ წევრებზე: როდესაც მეურნეობაში სამი შრომის უნარმოკლებული წევრია, გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 20%-ით; როდესაც მეურნეობაში ოთხი და მეტი შრომის უნარმოკლებული წევრია, გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 30%-ით.

ასაკი, რომელიც იძლევა შეღავათის მიღების უფლებას შრომის უუნარობის გამო, დაწესებულია: მამაკაცისათვის—16 წლამდე და 60 წელზე მეტი, ქალისათვის—16 წლამდე და 55 წელზე მეტი“.

„35. საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების მიზნით, კოლმეურნეებს არ შეეფარდებათ ერთპიროვნულ მეურნეობათათვის დაწესებული განსაკუთრებული დაბეგვრა იმ შემოსავლისა, რაც მიიღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით ბაზარზე (მუხ. 58)“.

„38. სრულიად განთავისუფლება გადასახადისაგან იმ კოლმეურნის მეურნეობა, რომლის შედგენილობაში შედიან:

- ა) საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის ორდენებით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და შრომის გმირი;
- ბ) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება“.

(ამ მუხლის შენიშვნა ამოიშალოს).

„46. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება თვითეული ერთპიროვნული შრომითი მეურნეობისათვის იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი იღებს შემდეგი წყაროებიდან:

- ა) მემინდვრობა;
- ბ) მეველეობა;
- გ) ყოველგვარი ოთხფეხი საქონელი, ღორის გარდა;
- დ) სოფლის მეურნეობის შემდეგი სპეციალური დარგები: მებოსტნეობა, მებაღეობა, მებალეობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა, მებამბეობა, კარტოფილის ნათესი და სათიბი;
- ე) შინამრეწველობა, სახელოსნო რეწაობა და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვარი, გარდა სამუშაო ხელფასისა, რომელიც დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით მუშაობის ადგილას“.

(1 და 2 შენიშვნა ძალაში დარჩეს).

„54. მემინდვრობის, მებოსტნეობის, მებაღეობის, მებალეობის, მევენახეობის და მეთამბაქოობის დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება:

ა) საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობის შემოღებით, რაც უწყებელი მეურნეობისათვის დადგენილია 1934 წლის შემოდგომისა და 1935 წლის გაზაფხულის გეგმით;

ბ) სათიბის და მრავალწლიანი ნარგავის (ბალი, ვენახი და სხვ.) ფაქტური ფართობის მიხედვით.

ერთპიროვნული შრომითი მეურნეობის მიერ მისთვის დაწესებული 1934 წლის საშემოდგომო თესვის და 1935 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმების ზედმეტად დათესილი ყველა ფართობის დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვროს შემოსავლიანობის ნახევარი ნორმების ანგარიშით.“

„55. ოთხფეხი საქონლის შემოსავლის განსაზღვრისათვის სათვალავში მიიღება:

ა) ცხენი, ხარი, კამიჩი, ვირი, ჯორი 3 წლიდან და აქლემი 4 წლიდან;

ბ) ბულა 3 წლისაზე უხნესი;

გ) ძროხა და ფურ-კამიჩი პირველი მოგების შემდეგ და უშობელი 3 წლისაზე უხნესი;

დ) ნაზამთრი ცხვარი და თხა.

ოთხფეხი საქონლის ასაკი გამოიანგარიშება 1935 წლის მაისის 1-ისათვის“.

„57. ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობათა არასამიწათმოქმედო საშოვრიდან დასაბეგრი შემოსავალში ჩაირიცხება, ძირითადი საწარმოო ხარჯების (ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის, სათბობი მასალის, ფურაჟის და სხვ.) გამოკლების შემდეგ:

ა) საშინამრეწველო-სახელოსნო სარეწაოების აღრიცხული შემოსავლის 50%;

ბ) ზიღვა-გადაყვანის რეწაობის და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვრის აღრიცხული შემოსავლის 60%;

გ) სადგომების გაქირავების აღრიცხული შემოსავლის 50% ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, გურჯაანის, თიანეთის, კასპის, ლუქსემბურგის, მარტვილის, სავარეჯოს, ქვემო სვანეთის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, წალკის და ხობის რაიონებში, და 70%—დანარჩენ რაიონებში და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში;

დ) წისკილის აღრიცხული შემოსავლის 100%;

ე) ხე-ტყის დამზადებაზე (ხე-ტყის დამუშავება, გამოზიდვა, ჩამოტივტივება და სხვ.) და ტორფის დამუშავებაზე მუშაობის აღრიცხული შემოსავლის 20%.

თვითეული ერთპიროვნული მეურნეობის არასამიწათმოქმედო საშოვრის რაოდენობას განსაზღვრავს სასოფლო საბჭო და დამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ შეამცირონ ცალკეული რაიონებისა და სასოფლო საბჭოებისათვის სადგომების გაქირავების შემოსავლის დაბეგვრის ზემოაღნიშნული რაოდენობა, ხოლო ისე, რომ ეს რაოდენობა გაქირავებით მიღებული საერთო შემოსავლის 50%-ზე ნაკლები არ იყოს.

კოოპერირებული შინამრეწველისა და ხელოსნის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს თავისი პროდუქციის ჩაბარებით არტელში, არ დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, არამედ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით სამუშაო ხელფასისათვის დადგენილი წესისამებრ.

ხოლო კოოპერირებული შინამრეწველისა და ხელოსნის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს პროდუქციის გაყიდვით თავისი არტელის გარეშე, ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის შედგენილობაში არაკოოპერირებულ შინამრეწველთა შემოსავლის თანაბრად.

„58. ერთპიროვნული მეურნეობის შემოსავალი, მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით ბაზარზე, სათვალავში მიიღება მთელი დროის მიხედვით 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის წარმოებული აღრიცხვიდან 1935 წლის აღრიცხვამდე.

ეს შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში შემდეგი რაოდენობით:

ა) მეურნეობაში საბაზრო შემოსავლის აღრიცხული თანხის 50%-ის რაოდენობით—აფხაზეთის ავტ. სსრ-ასა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ასა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში და აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშქიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, თიანეთის, ლანჩხუთის, მარტვილის, მახარაძის, ონის, ტყიბულის, ფოთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ქიათურის, ხობის და ხორავაოლის რაიონებში;

ბ) მეურნეობაში საბაზრო შემოსავლის აღრიცხული თანხის 55%-ის რაოდენობით—აღბულახის, ბაღდადის, ბორჩალოს, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, ლაგოდეხის, ლუქსემბურგის, სენაკის, სიღნაღის, ყარაიას, ყვარლის და ხონის რაიონებში;

გ) მეურნეობაში საბაზრო შემოსავლის აღრიცხული თანხის 60%-ის რაოდენობით—გორის, გურჯაანის, კასპის, სავარჯოს, სამტრედიის, ტფილისის, ქუთაისის და ხაშურის რაიონებში.

ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ამ რაიონებისათვის დაწესებული ოდენობა ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული დასაბეგრი შემოსავლისა შეამცირონ 50%-მდე იმ ცალკეული სასოფლო საბჭოებისა და სოფლებისათვის, სადაც ბაზარზე გაყიდვით მიღებული შემოსავალი უმნიშვნელოა.

„61. მშრომელი მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

მეურნეობის დასაბეგრი შე-
მოსავლის რაოდენობა.

მეურნეობის გადასახადის
რაოდენობა.

100 მანეთამდე.	15 მან.
101—125 მან.	17 "
126—150 მან.	20 "
151—175 მან.	24 "
176—200 მან.	28 "
201—225 მან.	32 "
226—250 მან.	36 "
251—275 მან.	40 "
276—300 მან.	44 "
301—325 მან.	48 "
326—350 მან.	52 "
351—375 მან.	56 "
376—400 მან.	60 "
401—425 მან.	66 "
426—450 მან.	73 "
451—475 მან.	81 "
476—500 მან.	89 "
501—525 მან.	97 "
526—550 მან.	105 "
551—575 მან.	113 "
576—600 მან.	121 "
601—625 მან.	129 "
626—650 მან.	137 "
651—675 მან.	145 "
676—700 მან.	154 "
701—725 მან.	164 "
726—750 მან.	174 "
751—775 მან.	185 "
776—800 მან.	196 "
801—1.000 მან. 200 მან.+40 კაპ.	800 მანეთზე მეტი შემოსავლის თვითეთული მანეთიდან.
1.000—2.000 მან. 280 მან.+44 კაპ.	1.000 მან. მეტი შემოსავლის თვითეთული მანეთიდან.
2.000—3.000 მან. 720 მან.+48 კაპ.	2.000 მან. მეტი შემოსავლის თვითეთულ მანეთიდან.

3.000 მანეთზე მეტი 1.200 მან. + 55 კაპ. 3.000 მანეთზე მეტი შემოსავლის თვითუფლი მანეთიდან.

ერთპიროვნულ მეურნეობათა გადასახადის განაკვეთი ყველა შემთხვევაში უნდა აღემატებოდეს განსაზღვრულ ადგილას კოლმეურნეებისათვის დაწესებულ განაკვეთს არა ნაკლებ, ვიდრე 25⁰/₁₀₀-ით.“

„62. იმ მეურნეობას, რომელსაც თავის შედგენილობაში ჰყავს არა უმეტეს ორი შრომაუნარიანი წევრისა, ეძლევა შემდეგი შეღავათი ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრებზე: როდესაც მეურნეობაში სამი შრომის უნარმოკლებული წევრია, გამოანგარიშებული გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 10⁰/₁₀₀-ით; როდესაც მჭურნეობაში ოთხი და მეტი შრომის უნარმოკლებული წევრია, გადასახადი მეურნეობას შეუმცირდება 20⁰/₁₀₀-ით.

ასაკი, რომელიც იძლევა შეღავათის მიღების უფლებას შრომის უუნარობის გამო, დაწესებულია: მამაკაცისათვის—16 წლამდე და 60 წელზე მეტი, ქალისათვის—16 წლამდე და 55 წელზე მეტი“.

„64. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, სასოფლო საბჭოს მიერ წარდგენილი სიის მიხედვით, შეუძლია სრულიად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს გადასახადისაგან მცირეძალოვნების გამო ის ერთპიროვნული შრომიანი მეურნეობა, რომელსაც არა ჰყავს ოჯახის შრომაუნარიანი წევრი, უკეთუ ამასთანავე ამ მეურნეობაში არ არის მსხვილფეხა პირუტყვი“.

„65. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა არ დაიბეგრება ის მუშა და მოსამსახურე, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას საკარმიდამო მიწაზე და რომელსაც ჰყავს არა უმეტეს ერთი ძროხისა, წვრილი ოთხფეხი საქონელი, აქვს სათიბი და არა აქვს სამინდვრე მიწა და არც მუშა საქონელი ჰყავს, უკეთუ სამუშაო ხელფასი მისი შემოსავლის ძირითადი წყაროა.“

მუშისა და მოსამსახურისათვის ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის დასათესად მიცემული მიწის ნაკვეთი აგრეთვე არ დაიბეგრება სასოფლო სამეურნეო გადასახადით“.

„66. იმ პირის მეურნეობა, რომელმაც თავისი თავი დააკონტრაქტა ან მიამაგრა ქვა-ნახშირის და მარგანცის მრეწველობაში მიწის ქვეშ მუშაობისათვის ერთ წელიწადზე არა ნაკლები ვადით, გადასახადისაგან განთავისუფლდება.“

უკეთუ აღნიშნული პირი თავის ვალდებულებას არ შეასრულებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მის მეურნეობას გადახდება საერთო საფუძველზე.“

„68. განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობა, რომლის მეთაური (ძირითადი შრომისუნარიანი მომუშავე) გადავიდა მუშად საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოდ შრომის ხელშეკრულებით, ხოლო ამ ერთპიროვნული მეურნეობის დანარჩენმა შრომისუნარიანმა მომუშავეებმა დასდევს შრომის ხელშეკრულება საბჭოთა მეურნეობასთან სასეზონო მუშაობისათვის.“

ეს შეღავათი ეძლევა მხოლოდ იმ მეურნეობას, რომელიც საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ გადასვლის გამო არ იღებს საგეგმო დავალებას თვისის დარგში და განთავისუფლებულია სახელმწიფოსათვის მარცვლის, მზესუმზირის, კარტოფილის და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარებისაგან“.

„72. სრულიად განთავისუფლება გადასახადისაგან კენაფის, კენდირის, რამის, საბაგირო მცენარის, პერილის აბუსალათინის, ლუფის, არახისის და კაუჩოკოსანი მცენარეების ნათესი, ციტრუსოვანი ნარგავი, ჩაის პლანტაციები და აგრეთვე მრეწველობისათვის დაკონტრაქტებული ციკორის ნათესი და დაკონტრაქტებული ფართობი სვიისა და ეთეროვან-ზეთოვანი და სამკურნალო-ტექნიკური მცენარეების ნათესისა.

სრულიად განთავისუფლება დაბეგვრისაგან ხაოს ასაშლელი ბურძვლის ყველა ნათესი მძრალად მოხსნულ მიწაზე იმ პირობით, თუ აგრო-ტექნიკური წესები შესრულებული იქნა.

„78. შეღავათი ეძლევა იმ მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის:

ა) საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის ორდენებით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და შრომის გმირი;

ბ) ომის და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება.

ჩამოთვლილ მეურნეობებს შეწერილი გადასახადი შეუმცირდებათ 20 მანეთით, უკეთუ მეურნეობაში არის სხვა შრომისუნარიანი მამაკაცი, და 30 მანეთით, უკეთუ მეურნეობაში სხვა შრომისუნარიანი მამაკაცი არ არის.

უკეთუ მეურნეობაში არის ამა მუხლში ჩამოთვლილი კატეგორიების რამდენიმე პირი, შეღავათი მეურნეობას მიეცემა თვითეულ ასეთ პირზე“.

(ამ მუხლის შენიშვნა ამოიშალოს).

„81. ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელიც საკვებო წესით გადასახლდა 1930 წლის აპრილის 1-ის შემდეგ, ეძლევა შეღავათი სპეციალურ დადგენილებათა საფუძველზე, რომელთაც გამოსცემს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გადასახლების საქმის სრულიად საკავშირო „კომიტეტი, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად“.

91, კარი, II.

შენიშვნა. უკეთუ მეურნეობას შრომაუნარიანი მამაკაცი არა ჰყავს (ქვრივის, ობლის, ინვალიდის, მოსწავლის მეურნეობა), ან უკეთუ შრომაუნარიანი მამაკაცი მძიმე ავადმყოფია ან წითელ არმიაშია, ერთი მუდმივი მუშის ყოლა (ან მუშა-ძალის გამოყენება ისეთ ფარგლებში, რაც არ აღემატება ერთი მუდმივი მუშის სამუშაო დღეთა საშუალო წლიურ რიცხვს) და დაქირავებული მუშა-ძალის გამოყენება ამა მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში არ ჩაითვლება ისეთ ნიშნად, რომ ასეთი მეურნეობა ინდივიდუალური წესით დაიბეგროს.“

„94. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე გაყიდვით მიღებულს ყველა შემოსავალი და არასამიწათმოქმედო საშოვარი საესებით ჩაირიცხება კულაკური მეურნეობის დასაბეგრი შემოსავალში“.

„95 ინდივიდუალური წესით დასაბეგრი კულაკური მეურნეობისათვის გადასახადი გამოიანგარიშება განაკვეთის შემდეგი ცხრილის მიხედვით:

შემოსავლის რაოდენობა		გადასახადის რაოდენობა	
1000 მ-ზე მეტი თანხის	3000-მდე . . .	350 მ.+50 კ.	შემ. თვით. მ-ზე 1000 მ. ზევით
3000 " " "	6000 " . . .	1350 მ.+50 კ.	შემ. თვით. მ-ზე 3000 მ. "
6000 " " "	. . .	3150 მ.+70 კ.	შემ. თვით. მ-ზე 6000 მ. "

„116. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.“

II

1. 51 მუხლში შემოსავლიანობის ნორმების ცხრილი შეცვლილ იქნას იმ ცხრილით, რომელიც მოთავსებულია 1935 წლის ივნისის 8-ის დადგენილების მე-2 დანართში.

2. დადგენილების შესავალი ნაწილის მეორე აბზაცში და 4, 5, 27, 44 და 96 მუხლებში 1934 წლის ნაცვლად აღინიშნოს 1935 წელი.

3. დადგენილების 5,8 და 74 მუხლებში 1933 წლის ნაცვლად აღინიშნოს 1934 წელი.

4. 26 მუხლში 1934 წლის აგვისტოს 10 ნაცვლად აღინიშნოს 1935 წლის ივლისის 15.

III.

1. დაემატოს დადგენილებას 30¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„30¹. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობა, რომელიც კოლმეურნეობაში შევიდა განსაზღვრულ სოფელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის პირველი ვადის დადგომამდე, დაიბეგრება ამ გადასახადით, როგორც კოლმეურნეობა“.

2. დაემატოს 91 მუხლის მე-II კარს პუნქტი „ბ¹“ შემდეგი შინაარსისა:

„ბ¹. ციტრუსოვანი მეურნეობებისათვის—70 სამუშაო დღეს წელ-ში 1 მეურ—ზე“.

IV.

დადგენილების შესავალი ნაწილის პირველი აბზაცი და მუხლები: 23 (შენიშვნითურთ), 75, 80 და 87 ამოშლილ იქნას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. ივლისის 17. № 942.

ტფილისი.

134. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველო 1936-21-125

1935 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

„1935 წლისთვის თვითდაბეგვრის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 31-ს დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 30 №-ი, მუხ. 233), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განგრძობილ იქნას 1935 წლისთვის მოქმედება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 9-ის დადგენილებისა „1934 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-20 №-ი, მუხ. 176), შემდეგ მუხლებში აღნიშნული ცვლილებებით:

2. განისაზღვროს კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის თვითდაბეგვრის შემდეგი განაკვეთები:

ა) განუსაზოგადოებელი შემოსავლის არ მქონე მეურნეობებისათვის, რომელიც დაბეგრილ არიან 1935 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, — განაკვეთი 2 მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 5 მანეთისა, რაც 1934 წელს იყო;

ბ) განუსაზოგადოებელი შემოსავლის მქონე მეურნეობებისათვის, რომელიც დაბეგრილ არიან 1935 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, — განაკვეთი 3-დან 9 მანეთამდე რაოდენობით, ნაცვლად 8-20 მანეთისა, რაც 1934 წელს იყო.

3. ერთბაშად უზრუნველყოფილ მეურნეობებისათვის თვითდაბეგვრის განაკვეთები განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 40% - დან 60% - მდე რაოდენობით.

ყველა შემთხვევაში ერთბაშად უზრუნველყოფილ მეურნეობის თვითდაბეგვრის განაკვეთი უნდა იყოს არა ნაკლებ, ვიდრე 25% - ით მეტი თვითდაბეგვრის იმ განაკვეთზე, რაც დადგენილია უწყებულ ადგილას სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილ კოლმეურნეთათვის.

4. კულაკური მეურნეობანი თვითდაბეგვრის წესით იბეგრებიან ისე, როგორც 1934 წელს, 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200% - ის რაოდენობით.

5. გაუქმებულ იქნას თვითდაბეგვრით შეგროვილი სახსრის ადგილობრივი ბიუჯეტში ჩარიცხვა (1934 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების შესახები დადგენილების მე-2 მუხლი).

6. დაწესებულ იქნას, რომ თვითდაბეგვრით შეგროვილი სახსრის 65% უნდა მიიქცეს სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაზე სოფლად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების დამატებად.

უფლება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს — გარდაანაწილონ ხოლმე ეს სახსარი სასოფლო საბჭოებს შორის რაიონის შიგნით, სასოფლო-სამეურნეობის გეგმის მიხედვით.

7. თვითდაბეგვრით შეგროვილი სახსრის არა ნაკლებ 35 %-ისა დატოვებულ იქნას სასოფლო საბჭოების განკარგულებაში სოფლის იმ კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, რაც სასოფლო ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის.

8. უფლება ეძლევა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლო საბჭოების წარდგენით, გაანთავისუფლონ მთლად ან ნაწილობრივ თვითდაბეგვრის გადასახდელისაგან კოლმეურნეთა მეურნეობანი და აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევაში, ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ ოჯახის შრომაუნარიანი წევრები, უკეთუ, ამასთანავე, მეურნეობაში არ მოიპოვება მსხვილფეხა საქონელი.

9. გაუქმებულ იქნას 1934 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ დადგენილების მე-9 და 11 მუხლები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. მ. ტოროშელიძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ჭავთარაძე,

1935 წ. ივლისის 20. № 947.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 168 №-ში 1935 წ. ივლისის 21.

სისხლის სამართალი

135. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 70² მუხლის დამატებისა და 205¹—მუხლის ამოშლის შესახებ.

„ფასიანი ქალაქების და ფულადი სუროგატების უკანონო გამოშვებისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 31-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 30 №-ი, მუხ. 224), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (1933 წლის რედ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დამატოს კოდექსს 70² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„70². რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ ყოველგვარი სესხისა, ობლიგაციისა და სხვა სახის ფასიანი ქალაქისა, აგრეთვე ბონისა და სხვა ფულადი სუროგატის გამოშვება გამოიწვევს დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიმართ



თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე.

ამა მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნული ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სუროგატების დამზადება გამოიწვევს სტამბებისა, საგრავერო სახელოსნოებისა, ლითოგრაფიებისა, ვიტროგრაფიებისა და სხვა მისთ. ხელმძღვანელთა მიმართ

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

ამა მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნული ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სუროგატების მიღება სასყიდლის სახით ფულის ნაცვლად გამოიწვევს დუქნებისა, მაღაზიებისა, ფარდულებისა და სხვა ცალობითი ვაჭრობის საწარმოთა მოლარეების მიმართ

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

2. 205^ა—მუხლი ამოიშალოს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მაგ. თ. ულენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. გ. ხტურუა

1935 წ. ივნისის 1. № 56/662.
ტფილისი.



136. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

„საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული 1934 წ. ივლისის 15-ის დადგენილების 1-ლი მუხლის I-ლ კარს (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 21 №-ი, მუხ. 189) დაემატოს „თ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„თ)საატესტაციო კომისია“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მაგ. თ. ულენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. გ. ხტურუა.

1935 წ. ივლისის 1. № 57/663ა.
ტფილისი.

137. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს

082.1

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს ორგანიზაცია და ფუნქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციასა და ფუნქციებში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დაწესებულ იქნას, რომ საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო მოქმედობს შემდეგი შედგენილობით:

ა) პრეზიდიუმი,

ბ) პლენუმი,

გ) სისხლის საქმეთა კოლეგია,

დ) სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

2. დაწესებულ იქნას, რომ უზენაესი სასამართლოს კოლეგიებს მეთაურობენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილენი.

3. დაწესებულ იქნას, რომ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი ეწეობა შვიდი კაცის შედგენილობით: სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილენი და სასამართლოს ოთხი წევრი, რომელთაც ირჩევს სასამართლოს პლენუმი თავის შორის და ამტკიცებს სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა თანამდებობაზე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

4. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის შედგენილობაში შედიან წევრებად აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ-ის უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარენი.

5. დაწესებულ იქნას, რომ საკასაციო საჩივარი აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ-ის უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებაზე, რაც გამოტანილია ამ სასამართლოების მიერ პირველი ინსტრუქციის ხაზით, შეიტანება საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოში.

6. დაექვემდებაროს უზენაესი სასამართლოს დამცველთა კოლეგია და სახელმწიფო ნოტარიატი, დაეკისროს რა მათი ხელმძღვანელობა სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

7. დაწესებულ იქნას, რომ პასუხისმგებლობას სასამართლო მომუშავეთა კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის, იუსტიციის სახალხო კომისარის

თანაბრად, ეწევა აგრეთვე უზენაესი (უმაღლესი, მთავარი) სასამართლოს მჯდომარე.

8. უზენაესი სასამართლოს საბიუჯეტო სახსარი იუსტიციის სახალხო კომისარიატიდან გადაიცეს უზენაესი სასამართლოს განკარგულებაში, დატოვებულ იქნეს-რა საერთო საბუჯეტო და საანგარიშო აპარატი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. თ. ჟღენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მალოზლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. გ. ხტურუა.

1935 წ. ივლისის 1. № 59/664ა.
ტფილისი.

